წარმოდგენილი მოსაზრებების
საპასუხო შემაჯამებელი დოკუმენტი

„სარეზოლუციო ფონდის შექმნის, ადმინისტრირებისა და ინვესტირების, სარეზოლუციო ფონდში წინასწარი შენატანის დაკისრების კრიტერიუმებისა და წინასწარი შენატანების განხორციელების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანების პროექტი, ეროვნული ბანკის ვებგვერდზე, საჯარო კონსულტაციებისათვის 2024 წლის 29 ივლისს გამოქვეყნდა და კომენტარების მიღების ვადად 2024 წლის 15 აგვისტო განისაზღვრა.

მითითებულ პერიოდში ეროვნულმა ბანკმა, დადგენილი ფორმის მეშვეობით, მოსაზრებები მიიღო ორი სუბიექტისგან: სს თიბისი ბანკისა და სსიპ - დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოსგან. მათი მიერ მოწოდებული კომენტარები ასვე გასაჯაროებულია ეროვნული ბანკის ვებგვერდზე.

<u>თიბისი ბანკის კომენტარები</u> ძირითად ტექნიკური და დამაზუსტებელი ხასიათის იყო, რომელთა ნაწილი. ეროვნული ბანკის მიერ გათვალისწინებული იქნება პროექტის საბოლოო ვერსიაში. კერძოდ:

- პროექტის მე-7 მუხლის 1 პუნქტთან დაკავშირებით, ბანკმა მიუთითა: გთხოვთ, დავაკონკრეტოთ როდის მიიღებს ბანკი ინფორმაციას შესაბამისი შენატანის თაობაზე.
  ეროვნული ბანკის პასუხი: *აღნიშნული საკითხი გათვალისწინებული იქნება და პროექტის მე-16 მუხლის მე-4 პუნქტში ვადა განისაზღვრება შემდეგი სახით: „თითოეული ბანკისთვის განსაზღვრული ინდივიდუალური შენატანის ოდენობის შესახებ, ბანკებს დამატებით ინდივიდუალურად ეცნობებათ, კონფიდენციალურობის წესების დაცვით, არაუგვიანეს ყოველი წლის 10 თებერვლამდე.“*
- პროექტის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტთან დაკავშირებით, ბანკმა მიუთითა: გთხოვთ, დავამატოთ რომ დაკორექტირება მოიცავს როგორც შემცირებას ასევე გაზრდას. **ეროვნული ბანკის პასუხი:** *აღნიშნული საკითხი გათვალისწინებული იქნება და ჩაემატება შესაბამის პუნქტში.*
- პროექტის მე-7 მუხლის მე-3 პუნქტთან და ასევე მე-9 მუხლთან დაკავშირებით, ბანკმა მიუთითა: გთხოვთ დააზუსტოთ იქნება თუ არა რისკის კრიტერიუმი გადასახდელი მოცულობის კალკულაციის კრიტერიუმი;
  ეროვნული ბანკის პასუხი: *დიახ, აღნიშნული წარმოადგენს „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მოთხოვნას. მუხლი 55[4], პუნქტი 6: „პროპორციულობის კრიტერიუმი გულისხმობს შენატანის იმ ვალდებულებების პროპორციულად განხორციელებას, რომლებიც არ მოიცავს ისეთ ვალდებულებას, რომელიც იმავდროულად არის საზედამხედველო კაპიტალის*

ინსტრუმენტი ან დაზღვეული დეპოზიტი. <u>ობიექტურობის კრიტერიუმი მოიცავს კომერციული ბანკის რისკის პროფილს.“</u>

- პროექტის მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის, „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებთან დაკავშირებით, ბანკმა მიუთითა: გთხოვთ დავამატოთ მთლიანი აქტივები.

  ეროვნული ბანკის პასუხი: *დიახ, აღნიშნული საკითხი გათვალისწინებული იქნება და ჩაემატება შესაბამის ქვეპუნქტებში სიტყვა „მთლიანი“.*
- პროექტის მე-7 მუხლის მე-5 პუნქტთან დაკავშირებით, ბანკმა მიუთითა: გთხოვთ დავამატოთ სიხშირე: „ყოველწლიურად“

  ეროვნული ბანკის პასუხი: *დიახ, აღნიშნული საკითხი გათვალისწინებული იქნება და ჩაემატება შესაბამის პუნქტში სიტყვა „ყოველწლიურად“.*
- პროექტის მე-9 მუხლთან მიმართებით ბანკმა მიუთითა: გთხოვთ, დავამატოთ რომ თებერვალში დათვლილი ოდენობა არ შეიცვლება იმავე წლისთვის. გასაგებია რომ შეიცვლება შემდეგი წლისთვის.

  ეროვნული ბანკის პასუხი: *ვფიქრობთ აღნიშნულის დამატების საჭიროება არ დგას. შენატანების ყოველი წლის დასაწყისში კალკულაციას სწორედ ეს მიზანი აქვს რომ ერთი წლის შენატანის ოდენობა წლის დასაწყისშივე იყოს დაფიქსირებული. წლის შუაში ამ ოდენობის ცვლილებას არ განვიხილავთ.*
- პროექტის მე-10 მუხლთან დაკავშირებით, ბანკმა მიუთითა: თუ რისკის პროფილი შენატანის კალკულაციის კრიტერიუმად დარჩება, მნიშვნელოვანია განსაზღვრული იყოს რამდენ ხანში გადაიხედება თითოეული პარამეტრი და შესაბამისი წონები.

  ეროვნული ბანკის პასუხი: *რისკის ინდიკატორები და წონები რეგულარულად ცვლილებას არ ექვემდებარება. საჭიროების შემთხვევაში, საერთაშორისო პრაქტიკის ცვლილების ან სხვა რელევანტური ფაქტორის გათვალისწინებით, გრძანებაში შევა შესაბამისი ცვლილება. წინასწარ ვერ განვსაზღვრავთ პერიოდულობას.*

<u>სსიპ დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს კომენტარი:</u>

- პროექტის მე-4 მუხლის, მე-11 პუნქტთან დაკავშირებით, სააგენტომ მიუთითა: დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს მიერ სარეზოლუციო ფონდის ადმინისტრირების შემთხვევაში, ინვესტირების შედეგად მიღებული ამონაგები თანხა (კუპონური შემოსავალი და საქართველოს ეროვნულ ბანკში გახსნილ შესაბამისი მიმდინარე ანგარიშზე დარიცხული საპროცენტო სარგებელი) ავტომატურად დაირიცხება იმავე ანგარიშზე. მიმდინარე ჩანაწერით ასე არ არის და ვფიქრობთ შესაბამისად უნდა დაკორექტირდეს. ან, უბრალოდ დარჩეს რომ ინვესტირება ხდება დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოსა და საქართველოს ეროვნულ ბანკს შორის შეთანხმების შესაბამისად. აღნიშნული დეტალი კი უკვე შეთანხმებაში იქნება გაწერილი, ხოლო ამ წესიდან ამოღებული.

  ეროვნული ბანკის პასუხი *- გათვალისწინებულია იქნება აღნიშნული საკითხი და ვინაიდან ეროვნულ ბანკში გახსნილ სააგენტოს ანგარიშს პროექტის მიხედვით - სააგენტოს ანგარიში ჰქვია, მე-11 პუნქტის ჩანაწერი შეიცვლება შემდეგი სახით: „ინვესტირების შედეგად მიღებული ამონაგები რჩება სააგენტოს ანგარიშზე და ექვემდებარება კვლავ ინვესტირებას“.*